ქალაქ თბილისის
საკრებულო
www.tbsakrebulo.gov.ge

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

თავმჯდომარის ოთარ გრიგოლიას ანგარიში

2022 წლის
ანგარიში

საქმიანობის შესახებ ანგარიში მოიცავს 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდს.

- მე-7 მოწვევის საკრებულოში, გახლავართ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე;
- ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი;
- ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის წევრი.

❖ ფ რ ა ქ ც ი ა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ფრაქციის თავმჯდომარე

მე-7 მოწვევის საკრებულში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ 29 წევრისგან შედგება. იგი საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ უფლებამოსილების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით შეიქმნა. ჩვენი საქმიანობა ეფუძნება საჯაროობის, დამოუკიდებლობისა და თანასწორობის პრინციპებს და ძირითად მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს: ქ. თბილისის მოსახლეობის მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით“ გარანტირებული უფლებების განხორციელება; დემოკრატიული ღირებულებების, საერთო–სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის საჯაროობისა და გამჭირვალობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვის მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო სახსრების მიზნობრიობის განსაზღვრა და მის განკარგვაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ფრაქციის წესდების გათვალისწინებით, ფრაქციის სხდომა იმართება თვეში მინიმუმ ერთხელ, სადაც განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები, რის შემდეგაც მზადდება რეკომენდაციები, რომელიც შემდგომში საკრებულოს სხდომაზე, ერთიან, შეჯერებულ პოზიციაში გამოიხატება.

დედაქალაქის მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე, ფრაქციის ფორმატში კოორდინირებულად ვთანამშრომლობთ თბილისის მერთან და დედაქალაქის მთავრობის წევრებთან, სადაც ხდება მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

საანგარიშო წლის განმავლობაში (ოქტომბრის თვის ჩათვლით), ფრაქციას ჩატარებული აქვს **23** სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა **42** საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად, დედაქალაქის ბიუჯეტი იზრდება და გეგმაზომიერად იხარჯება ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მოქალაქეების ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად.

- ქალაქში დაწყებულია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში მიმდინარეობს ცენტრალური ქუჩების სრული რეაბილიტაცია, იცვლება სანიაღვრე ქსელები, ბორდიურები და მონტაჟდება ევროპული სტანდარტების შესაბამისი გარეგანათება.
- თბილისი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქალაქი ევროპაში, მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებითა და ღირსშესანიშნაობებით. ბიუჯეტში გათვალისწინებულია მთელი რიგი პროგრამები მათ რესტავრაცია-კონსერვაციაზე. ასევე, ზოგიერთ რაიონში წარმატებით დაინერგა ავარიული საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამა.
- სატრანსპორტო რეფორმის შედეგად, მიმდინარე წელს სრულად ჩანაცვლდა ძველი მუნიციპალური ტრანსპორტი ახალი თანამედროვე და კომფორტული ავტობუსებითა და სამარშუტო ტაქსებით, მნიშვნელოვნად შემცირებულია მგზავრთა მოცდის დრო და გაზრდილია მგზავრთა ნაკადი.
- მკვეთრად გაზრდილია სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების ხვედრითი წილი. 2022 წელს დაემატა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები: საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება; უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართების შეძენა; მცირე და საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირების დამოუკიდებლად ცხოვრების ხელშეწყობა; ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფთა და სხვა პრობლემების მქონე პირთა მომსახურეობა; „გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე მოქალაქეებისთვის ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსების პროგრამის“ ბენეფიციარებს დამატებითი კვლევების დაფინანსება
- აქტიურად მიმდინარეობს საცხოვრებელი ფართების გადაცემის პროცესი სიმბოლურ ფასად და მიმდინარე წელს რამდენიმე ასეული ოჯახი გახდა მათ სარგებლობაში არსებული ფართების კანონიერი მფლობელი.
- თბილისში არსებული დაუსრულებელი მშენებლობების დასრულების მიზნით, განვიხილეთ და დავამტკიცეთ ხელშემწყობი ღონისძიებები. წარმოდგენილი პაკეტის საფუძველზე, სამშენებლო პროცესის დასრულებისთანავე ასეულობით ოჯახი დაკმყოფილდება და მიიღებს კუთვნილ ბინას.

❖ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა საკრებულოს 15 სხდომა, მიღებულ იქნა 649 განკარგულება და 113 დადგენილება. (განხილული საკითხებისა და დადგენილება/განკარგულების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ თბილისის საკრებულოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.sakrebulo.gov.ge.

- ### ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია - კომისიის წევრი

კომისიის მიერ, საანგარიშო პერიოდში 2021 წლის 1 დეკემბრიდან მ/წლის 07 ოქტომბრის ჩათვლით, ჩატარებულ იქნა 19 სხდომა და რიგი შეხვედრები. კომისიის სხდომებზე განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 335 საკითხი. საანგარიშო პერიოდში, კომისიის სხდომებზე საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 318 ცვლილება (დადებითი 304, გადაიდო 13, უარი 1).

- **სარევიზიო კომისია - კომისიის წევრი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისია აკონტროლებს შემოსავლების ამოღების დროულობას და მათ აღრიცხვას, ხარჯების კანონიერებასა და თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან შესაბამისობას. საანგარიშო პერიოდში, ჩატარდა 14 სხდომა. განვიხილეთ და რეკომენდაციები შევიმუშავეთ 42 საკითხზე, მათ შორის:

25 იანვარი

1. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

15 თებერვალი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032204167-03. 10.02.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2021 წლის 6 თვის (01.07.2021წ -31.12.2021წ) მუშაობის ანგარიში.
3. „მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძვნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში“ (საკრებულოს - #07-032135823-03. 27.12.2021) ცნობის სახით;
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 2021 წლის შიდა აუდიტის წლიური ანგარიში (#15-03220265-03.26.01.2022), ცნობის სახით.

17 მარტი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ (საკრებულოს:N12-032205940-03; 28.02.2022წ.) სარევიზიო კომისიის ანალიზი.

14 აპრილი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2021 წელს შესრულებულ სამუშაოთა **წლიური** ანგარიში.
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0322103104-03. 13.04.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

5 მაისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0322123117-03. 03.05.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

10 ივნისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-0322159128-03. 08.06.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

16 ივლისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს-N12-032219594-03. 14.07.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

9 აგვისტო

1. ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2020 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;
2. საბურთალოს რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის 2022 წლის 6 თვის (01.01.2022წ -01.07.2022წ) მუშაობის ანგარიშის განხილვა.

9 სექტემბერი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N4-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (საკრებულოს- N12-032225043-03. 07.09.2022წ.) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო“ - ს მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;
3. კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 2018 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში გაწეული, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის სარევიზიო შემოწმების მასალების განხილვა;

❖ აქტივობები

➢ გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გენდერულ საკითხებზე მუშაობა 2014 წლიდან დაიწყო. მას შემდეგ, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა გენდერული თანასწორობის საბჭო. მისი მუშაობის მთავარი მიზანია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობა. 2022 წლის იანვრიდან, გახლავართ აღნიშნული საბჭოს წევრი და აქტიურად ვარ ჩართული მის საქმიანობაში. საბჭოს მისიაა გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური გაძლიერება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების

მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრება – მოიცავს პოლიტიკურ პროცესებში ქალთა მონაწილეობის სტიმულირებას, ქალ პოლიტიკოსთა ფორუმების ორგანიზებას, ქალთა საბჭოების შექმნას და ა.შ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ინიციატივით, ქალთა ონკოლოგიური დაავადებების პრევენციისთვის, საინფორმაციო კამპანია „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ დავიწყეთ, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ქალებში კიბოს დროულ გამოვლენასა და დიაგნოსტიკას, პრევენციულ ღონისძიებებს და მკურნალობის დროულ დაწყებას.

- უკრაინელი ხალხის მხარდამჭერი აქცია

დედაქალაქის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ინიციატივით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად აქცია გაიმართა, სადაც უმრავლესობის წევრების, საკრებულოს თანამშრომლებისა და რამდენიმე კერძო კომპანიის შემოწირული თანხით შეძენილი პირველადი საჭიროების მედიკამენტები გადაეცა "საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას", რომელმაც აღნიშნული ტვირთის უკრაინაში ჩატანა უზრუნველყო.

➢ უკრაინელი ლტოლვილი ბავშვების მხარდასაჭერი საქველმოქმედო აქცია

თბილისის საკრებულოსა და არასამთავრობო ორგანიზაციის - „უკრაინულ-ქართული პრესისა და წიგნის სახლი“ ინიციატივით, ასევე საქართველოში უკრაინის საელჩოს თანადგომით, საკრებულოში უკრაინელი ლტოლვილი ბავშვების მხარდასაჭერად საქველმოქმედო აქცია გაიმართა.

➢ სამუშაო შეხვედრა მსოფლიო ბანკის კონსულტანტებთან

თბილისის საკრებულოში მსოფლიო ბანკის წამყვან კონსულტანტთან ჯონ შორტთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც მხარეებმა საჯარო ფინანსების მართვის ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგიის - PEFA-ს პროექტის შესახებ ვისაუბრეთ.

➢ სამუშაო შეხვედრა IUSY-ს მშვიდობის კომიტეტის (PTN) წარმომადგენლებთან

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან და სხვა კოლეგებთან ერთად IUSY-ს მშვიდობის კომიტეტის (PTN) წარმომადგენლებს შევხვდი. ვისაუბრეთ აღნიშნული კომიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებზე, კონფლიქტების გადაწყვეტის მშვიდობიან გზებზე და პროცესში ახალგაზრდობის ჩართულობასა და ხალხთა შორის დიალოგის მნიშვნელობაზე.

- მიმდინარე წლის 14-სექტემბერს ქართულ დელეგაციასთან ერთად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში ვიმყოფებოდი, სადაც ურბანული განვითარების მე-15 კონგრესს დავესწარი. მივლინების ფარგლებში საქალაქო მშენებლობებისა განვითარების სფეროში არსებულ სიახლეებს, გამოწვევებს, ტენდეციებსა და ამ კუთხით განსახორციელებელ გეგმებს გავეცანით.

- ამა წლის 30 ივნისს, სტამბოლში, ევროპის საბჭოს კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის დავესწარი.სხდომაზე, ერთ-ერთ ძირითად საკითხად განიხილებოდა. ანგარიში სახელწოდებით: ,,გარემოს დაცვის ფუნდამენტური უფლებები: ყურადსაღები ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის“ .

- 23 მარტს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის 42-ე პლენარულ სესიაში მივიღე მონაწილეობა. პლენარული სესიის ნაწილში, საქართველოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა კონგრესის მიერ ერთსულოვნად მიღებულ დეკლარაციას რუსეთის ფედერაციის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ სამომარი მოქმედებების შესახებ. დეკლარაციაში მკაცრად არის დაგმობილი უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომი.

➢ ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) მე-12 ფორუმი

🌐 ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ფორუმი 2007 წლიდან იმართება, რომლის ფარგლებშიც, დედაქალაქი ყოველწლიურად, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს მასპინძლობს.

🌐 ღონისძიების მიზანი გამოცდილების, თანამედროვე მიდგომებისა და იდეების გაზიარებაა, რომელიც თანამშრომლობის ჩამოყალიბებისა და ქალაქების განვითარების მდგრად და გრძელვადიან პერსპექტივას ქმნის.

ღონისძიება სახელწოდებით - „მდგრადი ეკონომიკური აღდგენა“ თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ორგანიზებით იმართება. ეკონომიკური განვითარების მე-12 ფორუმზე სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობ ფაქტორებზე ვისაუბრე. კერძოდ, სოციალური და საგანმანათლებლო პროგრამების, ჯანდაცვის და სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებზე, რომელიც ხელს შეუწყობს სიღარიბის შემცირებას. ასევე, დეტალურად განვიხილე სოციალურად დაუცველი მიზნობრივი ჯგუფების დაფინანსების პროგრამები. რა თქმა უნდა, არსებობს გამოწვევები, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ სოციალური პოლიტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება.

ანგარიში 2022